რიტორიკული პროზა

რიტორიკულ პროზას, როგორც მსმენელთა დარწმუნების საუკეთესო საშუალებას, სათავე ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, ათენის დემოკრატიული წყობილების პირობებში დაედო. პირველად მისი გამოყენება სოფისტებმა დაიწყეს. რამდენადაც ისინი ჭეშმარიტების ობიექტურ არსებობას უარყოფდნენ და ასწავლიდნენ, რომ ჭეშმარიტებაა ყოველივე, რაშიც კი მსმენელების დარწმუნებას შეძლებ, ამ მიზნის მისღწევად მჭევრმეტყველებაში დახელოვნებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. რა თქმა უნდა, ორატორული ხელოვნება მხოლოდ მათ საკუთრებად დიდხანს არ დარჩენილა. მისი ძალა ძალიან მალე იგრძნეს როგორც ფილოსოფოსებმა, ასევე პოლიტიკასა და სასამართლოებში მოღვაწე პიროვნებებმაც. სოფისტური მჭევრმეტყველებისაგან განსხვავებით, პლატონმა ფილოსოფიურ, პოლიტიკურსა და სამოსამართლო რიტორიკას ზნეობრიობის დაცვის მოთხოვნა წაუყენა; მისი რწმენით, ორატორს აუცილებლად უნდა ჰქონოდა უნარი ობიექტური ჭეშმარიტების შეცნობისა და ავისა და კარგის გარჩევისა, ანუ გრძნობა სამართლიანობისა და ძალა მისი დაცვისა („პროტაგორა“, „გორგიასი“).

დაუძლეველი ძალა შეიძინა სიტყვამ და სიტყვიერმა ხელოვნებამ ქრისტიანობაში და ეს ძალა მას იმ ჭეშმარიტებამ მიანიჭა, რომელიც ჯერ ქრისტეს მოძღვრებაში განსხეულდა და გახმოვანდა, ხოლო შემდეგ – მის მოწაფეთა და ქრისტიან მოაზროვნეთა შემოქმედებაში. ამ დაუძლეველ ძალაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქრისტიანულ რელიგიას ადამიანთა მოსანადირებლად არავითარი იარაღი და ხერხი არ გამოუყენებია, გარდა ღმრთის ანუ ჭეშმარიტი სიტყვისა, რომელსაც პავლე მოციქულმა **მახჯლი სულისა** (ეფ. 6,17) უწოდა.

წარმართული რელიგიისა და ყოფის დაცვის მიზნით, ქრისტიანობასთან დაპირისპირების სურვილმა წარმართული რიტორიკა გამოაცოცხლა და ახალი სული შთაბერა. უწინარესად ამაზე მეტყველებს შემოქმედება წარმართი ორატორების – ლიბანიოსისა და თემისტიოსისა, მათ, მიუხედავად იმისა, რომ მოღვაწეობა ქრისტიანული რიტორიკის განსაკუთრებული აღმავლობის ეპოქაში მოუხდათ (ბასილი დიდი, გრიგოლ ღმრთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელი, იოვანე ოქროპირი), მაინც შეძლეს მჭევრმეტყველების იმგვარ ნიმუშთა შექმნა, რომელთაც არა მხოლოდ თანამედროვეთა ინტერესი გამოიწვიეს, არამედ დღემდე კვლევისა და ანალიზის ობიექტებად დარჩნენ.